ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №ნ-7
2018 წლის 10 მაისი
ქ. თბილისი

„ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №ნ-9 ბრძანებაში ცვლილების შეტანისთაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №ნ-9 (სსმ, ვებგვერდი 13/07/2017; სარეგისტრაციო კოდი: 260030000.64.076.016017) ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების:

ა) პირველი მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-2 მუხლი ამოღებულ იქნეს.

2. ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის“ (დანართი №1):

ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სავალდებულო წესით მონიტორინგის ვადის დადგომამდე 3 თვით ადრე სამსახურის მიერ აუდიტორს ან აუდიტორულ ფირმას ეგზავნება წერილი სავალდებულო წესით მონიტორინგის დაწყებისა და მონიტორინგისათვის მოსამზადებელი შესაბამისი დოკუმენტაციის 1 თვის ვადაში სამსახურისათვის წარდგენის თაობაზე.";

ბ) მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის
უფროსი **იური დოლიძე**